განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

2013 წლის ანგარიში
და 2011-2013 წლების
ანალიტიკური მიმოხილვა

www.eqe.ge

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

2013 წლის ანგარიში
და 2011-2013 წლების
ანალიტიკური მიმოხილვა

თბილისი
2014

დოკუმენტი მოამზადა ქეთი ცოტნიაშვილმა

რედაქტირება - ირინა დვალი
ნატო გორჯელაძე

©განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ყველა უფლება დაცულია. ინფორმაციის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის, წყაროს მითითებით.

საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. 1
ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220
ელ-ფოსტა: info@eqe.ge
ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე: www.eqe.ge

ISBN: 978-9941-0-6427-2

ანოტაცია

დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისგან. ანგარიშის პირველი ნაწილი აღწერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013 წლის საქმიანობას და ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს.

ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია 2011-2013 წლების მიმოხილვა და ანალიზი. კონკრეტულად:

- ცენტრის ფუნქციების/საქმიანობის და მართვის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცის მექანიზმების ანალიზი;
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა;
- სტუდენტთა მობილობის პროცესის ანალიზი და ინფორმაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების განაწილებასთან დაკავშირებით.

სარჩევი

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები 8

დირექტორის მიმართვა 9

ნაწილი I. 2013 წლის ანგარიში 10

1.1 საქმიანობის სფერო 11

1.2 ორგანიზაციული განვითარება 11

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები 14

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია 14

2.2 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია 15

3. განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ხელშეწყობა 17

4. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო 17

5. საგანმანათლებლო დოკუმენტაციის ენობრივი ნორმები და ტერმინები 17

6. სტუდენტთა მობილობა 18

7. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების ცნობა 19

7.1 განათლების აღიარება 19

7.2 განათლების ნამდვილობის დადასტურება 19

7.3 განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილი 19

8. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა 20

9. ინტერნაციონალიზაცია 21

9.1 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია - ENQA 22

9.2 განათლების აღიარების ევროპული საინფორმაციო ქსელი (ENIC-NARIC) 22

9.3 განათლების მენეჯმენტში მაგისტრატურის პროგრამის განვითარების პროექტი (Mahatma) 23

9.4 ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა (PICQA) 23

9.5 ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში 23

10. ფინანსური ანგარიში 24

ნაწილი II. 2011-2013 წლების მიმოხილვა 25

1. ცვლილებები ცენტრის საქმიანობისა და მართვის სფეროში 26

2. განათლების ხარისხის განვითარების გარე მექანიზმები 27

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია 27

2.1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ცვლილება. 27
2.1.2 ავტორიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება 29
2.1.3 საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ხარვეზები 31
2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წლიური თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი 33
2.2.1 უსდ-ების ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი 33
საგანმანათლებლო პროგრამები. 33
აკადემიური პერსონალი. 35
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. 36
ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისთვის. 37
უსდ-ებში განხორციელებული კვლევები. 37
საბიბლიოთეკო რესურსები. 38
სტრატეგიული განვითარების გეგმა. 38
2.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი 39
საგანმანათლებლო პროგრამები. 39
მასწავლებლები. 39
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. 39
მატერიალური რესურსები. 39
ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისთვის. 39
2.3 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია 40
2.3.1 აკრედიტაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება 41
3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო 43
4. სტუდენტთა მობილობა 44
5. სტუდენტთა განაწილება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 45
6. განათლების აღიარება 47
2014 წლის აქცენტები 48
დანართი 1. 49
დანართი 2. 50
დანართი 3. 54

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები

გვა	გამოცხადებული ვაკანტური ადგილები
მუმ	მობილობის უფლების მოპოვება
სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სსსმ	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
უსდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
ცენტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
BA	საბაკალავრო პროგრამა
BFUG	ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი
ENIC- NARIC	განათლების აღიარების ევროპული საინფორმაციო ქსელი
ENQA	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია
EQF	ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
MA	სამაგისტრო პროგრამა
ME	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
PICQA	ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა
Phd	სადოქტორო პროგრამა

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულება - საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება - საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კერძო პირის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ძვირფასო მკითხველო,

ელენე ჯიბლაძე
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

წარმოგიდგენთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიურ ანგარიშს, რომლის მიზანია გაგაცნოთ ცენტრის მუშაობის პრინციპები და გაგიზიაროთ ჩვენი 2013 წლის მუშაობის შედეგები. ამ წლის ანგარიშთან ერთად გთავაზობთ, 2011-13 წლებში, განათლების ხარისხის განვითარების მიმართულებით შესრულებული სამუშაოს ანალიტიკურ მიმოხილვას.

გასული 2013 წელი დიდწილად შიდა ორგანიზაციულ განვითარებას დაეთმო. ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების დახვეწის მიმართულებით და განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

2013 წელს შეიქმნა ცენტრის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომლის შემუშავებაშიც თითოეული თანამშრომელი მონაწილეობდა. ჩვენ ერთობლივად განვსაზღვრეთ ცენტრის შემდგომი განვითარების საერთო ხედვა, მისია და დავისახეთ სამომავლო მიზნები.

განათლების ხარისხის განვითარებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ავტორიზაციის საბჭოს დაყოფა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოებად. დაიხვეწა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოების წევრთა შერჩევის პროცესი. ის დაინტერესებული მხარეების აქტიური თანამონაწილეობით ჩატარდა, რაც დადებითად აისახა საბჭოების საქმიანობაზე და გაიზარდა მათ მიმართ ნდობა.

2013 წელს ცენტრი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) აფილირებული ორგანიზაცია გახდა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების მიმართულებით. ENQA-ს სრული წევრის სტატუსის მოსაპოვებლად ცენტრი აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს დაუთმობს 2014 წელს. შესაბამისად, ENQA-ში გაწევრიანების შედეგად გაიზრდება ცენტრის საქმიანობისა და საქართველოში მიღებული განათლების მიმართ ნდობა. ეს, თავის მხრივ, გაამარტივებს განათლების აღიარების პროცესსა და სტუდენტთა და პროფესორთა მობილობას ევროპის მასშტაბით.

აღსანიშნავია ცენტრის წვლილი პროფესიული განათლების განვითარებაში. 2013 წელს ცენტრმა საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგიის ფარგლებში წარმატებით განახორციელა „პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითარების“ პროექტი, რომელიც 2014 წელსაც გაგრძელდება.

2013 წელი ცენტრის ორგანიზაციული განვითარების პლატფორმის შექმნას დაეთმო, ჩვენი 2014 წლის პრიორიტეტი კი ცენტრის საქმიანობის შინაარსობრივი ცვლილებები იქნება. ცენტრი იმუშავებს შედეგზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებასა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე.

მადლობა მინდა გადავუხადო ცენტრის ყველა თანამშრომელს, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოების წევრებსა და ექსპერტებს იმ ღვაწლისთვის, რომელიც მათ გასწიეს განათლების ხარისხის განვითარებისთვის. მადლობას ვუხდი საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პარტნიორ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ეფექტიანი და ქმედითი თანამშრომლობისთვის.

იმედი მაქვს, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ცენტრის საქმიანობის 2013 წლის ანგარიში და გასული სამი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს ანალიტიკური მიმოხილვა.

დიდი მადლობა!



ელენე ჯიბლაძე
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ნაწილი I

2013 წლის ანგარიში

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ). ცენტრი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 14 სექტემბერს სსიპ-აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა.

ხედვა

ცენტრის მომავლის ხედვაა, რომ საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. ცივილიზებული სამყაროს ფეხდაფეხ ის ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე და წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

მისია

ცენტრის მისიაა სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად, განათლების ხარისხის კონცეფციის მუდმივი განახლება; სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა. ამგვარად, ცენტრი ხელს უწყობს უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნას.

1.1 საქმიანობის სფერო

ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. ცენტრი მუშაობს, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებასა და დანერგვაზე და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე.

ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე.

ცენტრი აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას.

საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მიღებული განათლების სწავლის შედეგების სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, ნამდვილობის დადასტურებას, ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას. ცენტრი ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის-დიპლომის ენობრივ სისწორეს.

ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

1.2 ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიის შემუშავება. 2013 წლიდან ცენტრმა აქტიურად დაიწყო მუშაობა ორგანიზაციული განვითრების მიმართულებით. ცენტრის გრძელვადიანი ხედვის, მიზნების და ძირითადი ამოცანების განსაზღვრის მიზნით, შემუშავდა სტრატეგიული განვითარების 4-წლიანი გეგმა, რომლის ფორმირების პროცესში ყველა თანამშრომელი იყო ჩართული. ამასთან დაკავშირებით, 2013 წლის მარტში, გაიმართა სამუშაო შეხვედრები ცენტრის ყველა თანამშრომლის მონაწილეობით, შემდეგ ეტაპზე, კი ცენტრის ხელმძღვანელობისა და სამსახურის უფროსების სამუშაო

შეხვედრები, რომელზეც განხილულ იქნა ცენტრის მისია და ხედვა, გაკეთდა SWOT ანალიზი და ასევე დაინტერესებული მხარეებისა და გარემო ფაქტორების ანალიზი. ამის შედეგად ჩამოყალიბდა 2013-2017 წლების სტრატეგიული მიმართულებები. ამასთან ერთად, შემუშავდა სამოქმედო გეგმა, განისაზღვრა ის 4 ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, რომელთა განვითარებაზეც ცენტრი შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში იმუშავებს. ესენია:

1. **ცენტრის ორგანიზაციული განვითარება;**
2. **საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების განვითარება;**
3. **საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;**
4. **ცენტრის მომსახურებების გაუმჯობესება.**

2013 წლის ივნისში ცენტრის თანამშრომლებისთვის გაიმართა სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია.

ყოველკვირეული შეხვედრები. ცენტრში დაინერგა ხელმძღვანელობისა და სამსახურის უფროსების ყოველკვირეული შეხვედრების ახალი ფორმატი, რომელზეც განიხილება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები, მიღწეული შედეგები და გეგმები. შეხვედრები ხელს უწყობს სამსახურებს შორის ანგარიშვალდებულებისა და კოორდინაციის ხარისხის ზრდას, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, რაც მიმდინარე საქმიანობის შეფასების, პრობლემების გამოვლენისა და გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

ცენტრის შიდა ბიზნეს პროცესების შესწავლა. განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულმა ცენტრმა ივლისში, საკონსულტაციო კომპანია „GBTC"-ის დახმარებით, განახორციელა ბიზნეს-პროცესების შესწავლა. პროცესების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 67, მათგან გამოვლინდა 10 ყველაზე პრიორიტეტული და პრობლემატური მიმართულება, რომლებიც ძირითადად ცენტრის მიერ მომსახურების გაუმჯობესებას ეხება (მაგ. ლეგალიზაცია, აპოსტილით დამოწმება და ა.შ). მათი ოპტიმიზაციის მიზნით შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა დანერგვასაც ცენტრი ეტაპობრივად ახორციელებს. მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოს ინდიკატორების შემუშავება (KPI).

ინფორმაციული უსაფრთხოება. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 11 მარტის №157 ბრძანებულების შესაბამისად, ცენტრი შესულია „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხაში". აქედან გამომდინარე, ცენტრმა დაიქირავა ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი, რომელმაც გაიარა სავალდებულო ტრენინგი მონაცემთა გაცვლის სააგენტოში და მიიღო დაკავებული თანამდებობისთვის შესაფერისობის დასკვნა. ცენტრში შეიქმნა ინფორმაციული უსაფრთხოების საკონსულტაციო საბჭო და სამუშაო ჯგუფი. „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,[1] ჩამოყალიბდა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის პოლიტიკა, რომელიც დადასტურებულია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ.

საკადრო პოლიტიკა. ცენტრმა პრიორიტეტულ ამოცანად დაისახა საკადრო პოლიტიკის განვითარება, კონკრეტულად კი კადრების მოძიებისა და შერჩევის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია და თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა: ჩატარდა თანამშრომელთა გამოკითხვა საჭირო ტრენინგების თემატიკის გამოსავლენად. ცენტრის ყველა სამსახურისა და სამმართველოს უფროსმა გაიარა ტრენინგის კურსი „მართვის თანამედროვე მეთოდები", რომელიც მართვის აკადემიამ განახორციელა.

[1] „ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 4, პუნქტი 1

სახელფასო რეფორმა. ცენტრში განხორციელდა მნიშვნელოვანი სახელფასო რეფორმა. სახელფასო სისტემა შემუშავდა პოზიციების ანუ თანამდებობების ისეთი კრიტერიუმებით შეფასების შედეგად, როგორებიცაა: პოზიციის ინტელექტუალური სირთულე, კომპლექსურობა, პასუხისმგებლობის ხარისხი, გადაწყვეტილებების სირთულე, საჭირო განათლება და გამოცდილება, მოქმედების არეალი, საქმიანი ურთიერთობების მრავალფეროვნება და სირთულე, ამასთან გათვალისწინებულ იქნა დასაქმების ბაზარი და კონიუნქტურა. აღნიშნულ ფაქტორებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სახელფასო სისტემა.

ცენტრისთვის მნიშვნელოვანია კომპეტენტური კადრების მოზიდვა და ამ მიზნით კადრების მოძიებისა და შერჩევის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ახალი თანამშრომლების აყვანის მიზნით, ცენტრი ვაკანტურ თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, აცხადებს კონკურსს. 2013 წლის განმავლობაში კონკურსის წესით დაინიშნა 11 თანამშრომელი, ხოლო კონკურსის გარეშე მოკლევადიანი ხელშეკრულებით - 5 თანამშრომელი (კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად). ცენტრში სულ 104 თანამშრომელია დასაქმებული.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2013 წლის 12 სექტემბერს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), სხვა დაწესებულებებთან ერთად, ცენტრი საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით ყველაზე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციად აღიარა და გადასცა ჯილდო ნომინაციაში „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“.

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია

2013 წელს, ცენტრის ინიციატივით, კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც **საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო დაიყო ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოებად**[2]. თუ 2013 წლამდე გადაწყვეტილებას იღებდა ერთი საბჭო, 2013 წლის მარტში ეს შეიცვალა და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ავტორიზაციის საბჭო. ამ გზით გაიზარდა საბჭოში დაინტერესებული მხარეების რეპრეზენტატულობა განათლების შესაბამისი დონეების მიხედვით და საბჭოს კომპეტენციის დონე. საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით დაინერგა საბჭოს წევრთა შერჩევის ახალი, თანამონაწილეობის პრაქტიკა. ცენტრმა საბჭოს წევრთა შერჩევის პროცესში ჩართო საგანმანათლებლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. საბჭოს შერჩევის პროცესი ჩატარდა სამ ეტაპად:

საბჭოს წევრთა შერჩევასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა

1. დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით განისაზღვრა საბჭოს რეპრეზენტატულობის პრინციპი - აქტორების წარმომადგენლობითობა და მათი კვოტა თითოეული საბჭოს შემადგენლობაში;
2. ცენტრმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამსაქმებლებს, წარმოედგინათ თავიანთი კანდიდატურები და ჩამოაყალიბა კენჭისყრის პირობები.
3. კენჭისყრის შედეგად დაწინაურებული კანდიდატებისგან შედგა საბჭოების წევრთა სია, სამ დამატებით კრიტერიუმზე დაყრდნობით და სამინისტროს წარდგინებით დაამტკიცა საქართველოს პრემიერ - მინისტრმა.

შედეგად, საბჭოს შემადგენლობაში არიან საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენლები და განათლების ექსპერტები თითოეული საბჭოს სპეციფიკის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ უმაღლეს ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე განიხილება უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული პროგრამის დამატების საკითხი, განხილვის პროცესში მონაწილეობას იღებს პროფესიული განათლების ექსპერტი. საბჭოების წევრთა საქმიანობა გახდა ანაზღაურებადი.

დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია 2013 წლის განმავლობაში ავტორიზაციის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონაცემები. იმ 12 უსდ-დან, რომლებმაც ავტორიზაცია 2013 წლის განმავლობაში გაიარეს, 6 ახლად დაარსებულია. როგორც დიაგრამიდან ჩანს 2013 წელს მიღებული გადაწყვეტილებების 70% დადებითია.

[2] „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11, პუნქტი 1



2013 წლის თებერვლის ცვლილებით განისაზღვრა, რომ ავტორიზებული დაწესებულებების შერწყმის შემთხვევაში რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულება ითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისთვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით[3].

2.2 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს აკრედიტაციის საბჭო. **2013 წლის 25 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის №148 ბრძანებით დამტკიცდა აკრედიტაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეირჩა და ის ავტორიზაციის საბჭოების შერჩევის პროცესის ანალოგიურად ჩატარდა.** საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტდა უსდ-ების (კერძო, საჯარო), პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების (კერძო, საჯარო), კერძო სკოლების ასოციაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

2013 წელს აკრედიტაციის საბჭომ სულ 215 გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის, 187 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. დიაგრამა 2-ზე ნაჩვენებია, რომ 2013 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების მონაცემების მიხედვით 2013 წელს საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის მაჩვენებელი ყველაზე მეტია და თითქმის ერთმანეთის ტოლია (61 და 60).

[3] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ, მუხლი 29, პუნქტი 1



*სხვა-საბაზო, საშუალო, დამატებითი პროგრამები, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ქართული ენის პროგრამა, მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული პროგრამა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ბაზის განახლებისა და გაუმჯობესების მიზნით **2013 წელს ცენტრმა დაიწყო აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის პროცესი.** 400 განაცხადიდან პირველ ეტაპზე შეირჩა 150 კანდიდატი. მათთან ეტაპობრივად მიმდინარეობს გასაუბრება და შერჩეული კანდიდატები ეტაპობრივად გადიან ტრენინგს და აკრედიტაციის ვიზიტის სიმულაციას. კანდიდატები შეფასდებიან და შეირჩევიან ტრენინგზე ჩართულობისა და მათ მიერ დაწერილი აკრედიტაციის დასკვნის საფუძველზე. პროცესი დასრულდება 2014 წლის თებერვალში.

აკრედიტაციის ვიზიტის სიმულაცია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში

2013 წელს ჩატარდა უნივერსიტეტების გამოკითხვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა აკრედიტაციის პროცედურასთან და სტანდარტებთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე მდგარი გამოწვევები. აკრედიტაციის პროცესის გასაუმჯობესებლად და გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად შემუშავდა წინადადებები, რომლებიც აისახება აკრედიტაციის ახალ კონცეფციაში.

3. განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ხელშეწყობა

ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირებასა და მათ შემდგომ სრულყოფას.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაიგეგმა ხარისხის კულტურის არსებული მდგომარეობის შესწავლა, გაანალიზდა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის კულტურის უცხოური გამოცდილება და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები. სასწავლო დაწესებულებებში შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და სტუდენტთა შეფასების შესაბამისი სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შესწავლილ იქნა საერთაშორისო გამოცდილება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. შესწავლილი და გაანალიზებული მასალის საფუძველზე მომზადდება სარეკომენდაციო მასალები, ტრენინგ-მოდულები და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ჩატარდება ტრენინგები.

4. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

2013 წელს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა ნუსხას დაემატა 25 კვალიფიკაცია, მათ შორის, 4 დარგი/სპეციალობა, 16 ქვედარგი/სპეციალიზაცია, 4 პროფესიული სპეციალიზაცია, შეიცვალა 6 კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის ცვლილება შეეხო 2 დარგის/სპეციალობის, 2 ქვედარგის/სპეციალიზაციის და 2 პროფესიული სპეციალიზაციის კვალიფიკაციას (იხ. დანართი 1).

2013 წელს გაანალიზდა, შემუშავდა და გაუმჯობესდა კვალიფიკაციის დამატების, შეცვლისა და ამოღების წესი და წარედგინა სამინისტროს დასამტკიცებლად. აქამდე არსებული რეგულაციით, კვალიფიკაციის დამატება და ამ კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამის განხორციელება შესაძლებელი იყო სააკრედიტაციო/საავტორიზაციო განაცხადში ან თვითშეფასების ანგარიშში ახალი კვალიფიკაციის მითითების საფუძველზე, ცენტრისგან თანხმობის მიღების შედეგად. პრაქტიკამ აჩვენა, რომ მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელებამდე (პროგრამის) შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობა. ახალი რეგულაციით დაინტერესებულ მხარეს დაეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს ამა თუ იმ კვალიფიკაციის დამატების/შეცვლის/ამოღების მიზანშეწონილობა, რაც აქამდე ცენტრს ეკისრებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და მისი სააკრედიტაციო/საავტორიზაციო განაცხადში ან თვითშეფასების ანგარიშში მითითება, მხოლოდ ამ პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. აღნიშნული პროცედურა წელიწადში ორჯერ განხორციელდება და საქმის წარმოების ვადა 6 თვე იქნება.

5. საგანმანათლებლო დოკუმენტაციის ენობრივი ნორმები და ტერმინები

2013 წლის განმავლობაში ცენტრში ენობრივი სისწორის შესათანხმებლად შემოვიდა 274 მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი[4], მათ შორის, 232 განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი. აქედან ენობრივად შეთანხმდა 161 დიპლომი. გარდა ამისა, მიმდინარეობს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ ტერმინებზე მუშაობა, რათა მათი განმარტებები ურთიერთგაზიარებული იყოს ყველა სუბიექტისათვის.

[4] 2013 წლის 20 მარტამდე ცენტრი ამოწმებდა ყველა სახის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ენობრივ სისწორეს, ხოლო 20 მარტს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შედეგად ცენტრი ამოწმებს მხოლოდ განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის-დიპლომის ენობრივ სისწორეს.

6. სტუდენტთა მობილობა

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტთა მობილობის პროცესს. მობილობის პროცესის ადმინისტრირების სრულყოფის მიზნით მოხდა მობილობის პორტალის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური გაუმჯობესება. მობილობის მსურველთათვის, ინფორმაციის დროულად მიწოდების მიზნით, დაინერგა მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემა და დაიბეჭდა ბროშურები. ასევე მობილობის მსურველთათვის შეიქმნა მობილობის პორტალზე რეგისტრაციის ვიდეო ინსტრუქცია.

მობილობის პროცესი 2013 წელს ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში განხორციელდა. **მობილობის უფლება 4968 სტუდენტმა მოიპოვა.** როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს, რომ საშემოდგომო მობილობის პროცესში დაახლოებით 3-ჯერ მეტი სტუდენტი მონაწილეობდა ვიდრე საგაზაფხულო მობილობისას. გარდა ამისა, უსდ-ების მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა საშემოდგომო მობილობისას დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო საგაზაფხულო მობილობისას 4-ჯერ აღემატება მობილობის მსურველთა რაოდენობას. ეს ტენდენცია თანხვედრაშია წინა წლების მობილობის მონაცემებთან.



ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ამოწმებს სტუდენტთა მონაცემებს და შემდგომში მათი დაფინანსების (სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტები, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ოკუპირებულ და საზღვრისპირა სოფლებში განათლებამიღებული სტუდენტების დაფინანსება, იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც სტუდენტობის პერიოდში გაიარეს სამხედრო სავალდებულო სამსახური) მიზნით გადამოწმებულ ინფორმაციას აწვდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამის დაწესებულებებს. 2013 წლის განმავლობაში ცენტრმა სულ 79239 სტუდენტის მონაცემები დაამუშავა.

7. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების ცნობა

7.1 განათლების აღიარება

ცენტრი ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, ადასტურებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების მიერ განათლების მიღების ფაქტს. ცენტრი ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებასაც.

2013 წლის განმავლობაში ცენტრმა მოამზადა აღიარების შემდეგი დოკუმენტები:

- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების - 7345;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების -12;
- ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების - 85;
- ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების - 80;
- დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების -12;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის შესახებ ცნობის მოთხოვნის - 879.

2013 წელს აღიარების წესში(№98/ნ დებულება) განხორციელებული ცვლილების[5] შესაბამისად დაზუსტდა, რომ ცენტრი საქართველოს და უცხოურ უსდ-ებს შორის გაცვლითი პროგრამების/მემორანდუმების არსებობისას აღიარებაზე წინასწარ თანხმობას გასცემს 2 წლის ვადით. თანხმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ მემორანდუმში მოცემული განათლების აღიარების წესი შეესაბამება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მარეგულირებელ კანონმდებლობას. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, უცხოეთში განათლებამიღებულ პირთათვის განათლების აღიარების პროცედურები გამარტივდა: მათ აღარ მოუწევთ დამატებითი თანხის გადახდა აღიარებისათვის, უფრო მოქნილი და სწრაფი გახდება მათი კრედიტების აღიარების პროცედურაც.

7.2 განათლების ნამდვილობის დადასტურება

ცენტრი ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, კერძოდ, ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტებს და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. 2013 წელს ცენტრში საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 1731 განცხადება, აქედან 1130-ის ნამდვილობა დადასტურდა.

7.3 განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილი

ცენტრი ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების გზით. საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მიზანია საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის სხვა ქვეყანაში გამოყენება.

ოფიციალური საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მოთხოვნით 2013 წელს ცენტრში სულ შემოვიდა 4931 განცხადება, 73 ქვეყანაში საგანმანათ-

[5] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის №139/ნ ბრძანება

ლებლო დოკუმენტების გამოყენების მიზნით. აქედან ყველაზე მეტი - განკუთვნილი იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წარსადგენად (დიაგრამა 4).



დიაგრამა 4. საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მონაცემები ქვეყნების მიხედვით

8. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების 2013-2020 წლების სტრატეგიის[6] ფარგლებში **ცენტრი 2013 წლის 18 სექტემბრიდან ახორციელებს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითრებას.** „პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითრების" ქვეპროგრამის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს:

- პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტიტუციური კომპონენტების განვითარებას;
- 50 პროფესიის სტანდარტის DACUM[7] მეთოდოლოგიით განახლებას;
- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის კოორდინაციას.

DACUM მეთოდოლოგია წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშვების მეთოდოლოგიას კონკრეტული სამუშაოს/პროფესიის ფუნქციური ანალიზის საფუძველზე. ფუნქციური ანალიზის შედეგად ხდება სამუშაოსთან/პროფესიასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ამოცანების განსაზღვრა, იმ ცოდნისა და უნარების, ინსტრუმენტების/აღჭურვილობის და ქცევითი ნორმების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროა ამ ამოცანების შესასრულებლად. ანალიზის შედეგად კი შემუშავდება პროფესიული სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავს პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინდივიდუალურ კომპეტენციას, თუ რისი გაკეთება შეუძლია კვალიფიკაცია მინიჭებულ პირს და რა ცოდნას ფლობს იგი.

[6] საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 http://mes.gov.ge/content.php?id=213&lang=geo
[7] DACUM(Developing a Curriculum) - საგანმანათლებლო პროგრამის შედგენა

პროექტის ფარგლებში:

- პროფესიული სტანდარტების განახლების მიზნით 500-მდე მსხვილ, საშუალო და მცირე ორგანიზაციასთან კომუნიკაციის შედეგად განხორციელდა კონკრეტული პროფესიებისათვის სამუშაოთა ჩამონათვალისა და სამუშაო აღწერილობის იდენტიფიცირება;
- DACUM მეთოდოლოგიის გამოყენებასა და მოდულური კურიკულუმის შემუშავებაში გადამზადდა 500-მდე ადამიანი;
- ჩატარდა პროფესიების ანალიზი DACUM მეთოდოლოგიის შესაბამისად, შემუშავდა DACUM დიაგრამები და მოხდა მათი ვალიდაცია;
- შემუშავდა 50 განახლებული და გაუმჯობესებული პროფესიული სტანდარტის პროექტი.

  პროექტი გაგრძელდება 2014-15 წლებში.

WORLDSKILLS GEORGIA. საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) ფინანსური მხარდაჭერითა და ცენტრის ინიციატივით დაარსდა პროექტი WorldSkills Georgia. WorldSkills Georgia საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია. WorldSkills Georgia-ს პირველი ეროვნული კონკურსი 2013 წლის 16-17 თებერვალს ჩატარდა, რომლის მიზანიც სამ პროფესიაში - შემდუღებელი, ვებდიზაინერი და მზარეული საუკეთესო მონაწილის გამოვლენა იყო. ეროვნული კონკურსის გამარჯვებულებმა 2013 წლის 2-7 ივლისს მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ქალაქ ლაიფციგში გამართულ WorldSkills-ის პროფესიული უნარების 42-ე საერთაშორისო კონკურსში. **საქართველოს გუნდის წევრმა, ვებდიზაინერმა უჩა ღვინიაშვილმა, წარმატებული ასპარეზობისთვის 2 მედალი დაიმსახურა**.

WorldSkills International
ფოტოზე: უჩა ღვინიაშვილი

WorldSkills-ის გენერალური ასამბლეის სხდომაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს WorldSkills International-ის წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა.

9. ინტერნაციონალიზაცია

საქართველომ სურვილი, გამხდარიყო ერთიანი ევროპული სივრცის სრულფასოვანი წევრი, 2005 წელს ბოლონიის პროცესში განევრიანებით გამოხატა. ბოლონიის პროცესის განვითარების ძირითად სტრუქტურას ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი (BFUG) წარმოადგენს. ჯგუფის მიზანია თვალყური ადევნოს წევრ სახელმწიფოებში ბოლონიის პროცესის მთავარი ამოცანების განხორციელებასა და შედეგებს. BFUG შედგება ბოლონიის პროცესის ქვეყნების და ევროკომისიის წარმომადგენლებისაგან. BFUG თავმჯდომარეობა ექვს თვეში ერთხელ როტაციული სისტემით იცვლება და მას ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოები თანათავმჯდომარეებენ. **2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით საქართველო, ლიტვის რესპუბლიკასთან ერთად, BFUG-ის თანათავმჯდომარე ქვეყანა იყო.** თანათავმჯდომარე ქვეყნები კოორდინაციას უწევენ ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის საბჭოს საქმიანობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 16-17 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა BFUG-ის საბჭოს მორიგი შეხვედრა. 7-8 ნოემბერს კი, ცენტრი, როგორც საქართველოს წარმომადგენელი, ლიტვასთან ერთად, თანა-

თავმჯდომარეობდა ლიტვაში, ქ. ვილნიუსში, გამართულ BFUG-ის შეხვედრას, რომელზეც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილებოდა ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტების გადახედვა. საქართველო გახდა სტრუქტურული რეფორმების სამუშაო ჯგუფის წევრი და ცენტრის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ბელგიის ქ. გენტში გამართულ BFUG-ის შეხვედრაში. ასევე ცენტრის წარმომადგენელმა 2013 წლის 11-12 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო ხორვატიის ქალაქ დრაკოშკანში გამართულ შეხვედრაში, რომლის თემა იყო „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოებისა და ხარისხის უზრუნველყოფის როლი განათლების აღიარებაში“.

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა, საქართველოს თანათავმჯდომარეობის ფარგლებში, 2013 წლის 20 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართა კონფერენცია თემაზე-„განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ხედვა“, რომლის მიზანიც იყო ბოლონიის პროცესის მოთხოვნების ხელახალი დეკლარირება და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის დაახლოება ევროპის საგანმანათლებლო სივრცესთან. კონფერენციაზე დაისვა 2014 წლის აქცენტები: ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების გადახედვა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწა. კონფერენციას ესწრებოდა 50-მდე უსდ-ის წარმომადგენელი, განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ხედვა“
ფოტოზე (მარცხნიდან): ა. მაისურაძე, გ. შარვაშიძე, ე. ჯიბლაძე, ლ. ბაქრაძე

9.1 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია - ENQA

AFFILIATE OF ENQA

2013 წლის 28 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ასოციაციამ (ENQA) აფილირებული ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა. ცენტრი განაგრძობს მუშაობას ENQA-ს სრული წევრობის მოსაპოვებლად, რადგან ეს ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებასა და თავსებადობას, ქვეყანაში განათლების ხარისხის განვითარების შიდა და გარე მექანიზმების დახვეწას, რაც გაზრდის ნდობას საქართველოს განათლების სისტემის მიმართ საერთაშორისო დონეზე.

9.2 განათლების აღიარების ევროპული საინფორმაციო ქსელი (ENIC-NARIC)

2006 წელს საქართველო ჩაერთო საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ ENIC-NARIC-ში. 2010 წლიდან ცენტრი ENIC-NARIC-ის წარმომადგენელი გახდა საქართველოში. 2012 წლიდან საქართველო ჩართულია დიდი ბრიტანეთის ინიციატივით განხორციელებულ პროექტში - „ENIC-ის შესაძლებლობების განვითარება“, რომლის მიზანია საგანმანათლებლო დოკუმენტების აკადემიური აღიარებისა და შეფასების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და მისი დახვეწა, საერთაშორისო საგანმანათლებლო დოკუმენტების შეფასებისას სწავლის შედეგებზე მეტი აქცენტის გაკეთება, განათლების სისტემებისა და კვალიფიკაციების შესახებ ინფორმაციის გაცვლა.

2013 წლის მაისში ცენტრში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საგანმანათლებლო ქსელის ENIC-NARIC-ის დიდი ბრიტანეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში პროექტის, „ENIC-ის შესაძლებლობების განვითარების“ შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა.

9.3 განათლების მენეჯმენტში მაგისტრატურის პროგრამის განვითარების პროექტი (Mahatma)

2012 წლიდან ცენტრი ჩართულია, უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განვითარების პროექტში (Mahatma), რომელიც ხორციელდება „ტემპუსის“ პროგრამის ფარგლებში. პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთის პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის განათლების მენეჯმენტში სამაგისტრო პროგრამის განვითარებაში დახმარების გაწევა. ცენტრთან ერთად საქართველოდან პროექტის პარტნიორები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკვე დაასრულა სამაგისტრო პროგრამის, „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ მომზადება და 2013 წლის ოქტომბერში მიიღო აკრედიტაცია აღნიშნულ პროგრამაზე. ხოლო დანარჩენმა უნივერსიტეტებმა განაახლეს არსებული პროგრამების მოდულები.

აღნიშნული პროექტი სამწლიანია და 2015 წლის სექტემბერში დასრულდება.

9.4 ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა (PICQA)

2010 წლის ივლისიდან ევროგაერთიანების პროგრამა „ტემპუსის“ ფარგლებში ხორციელდება პროექტი „ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოსა და სომხეთში ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის განვითარებასა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას. ამ სამწლიან პროექტში საქართველო სომხეთსა და გერმანიასთან ერთად ჩართულია როგორც თანაკოორდინატორი ქვეყანა. პარტნიორი ქვეყნებია: საფრანგეთი, ესპანეთი და ჰოლანდია. საქართველოში პროექტის კოორდინატორია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

2013 წელს პროექტის ფარგლებში უსდ-ებისა და ცენტრის თანამშრომლებისთვის გერმანიასა და ესპანეთში ჩატარდა ტრენინგი, რომელიც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. ცენტრის თანამშრომლებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ერთ-ერთი სააკრედიტაციო სააგენტოს, ASIIN-ის, ვურცბურგის უნივერსიტეტში განხორციელებულ სააკრედიტაციო ვიზიტში და დაესწრნენ ASIIN-ის აკრედიტაციის საბჭოს სხდომას.

აკრედიტაციის დებულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგების ანალიზის მიზნით მომზადდა ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ კითხვარი, რომელიც დაურიგდათ უსდ-ების სტუდენტებს, ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და დამსაქმებლებს. შემდეგ ეტაპზე კი გაკეთდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი[8]. აგრეთვე, პროექტის ფარგლებში მომზადდა გარე ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა ტრენინგ მოდული.

2013 წლის 9-11 ოქტომბერს, ქალაქ ერევანში გაიმართა პროექტის შემაჯამებელი ორდღიანი კონფერენცია. პროექტი 2014 წლის აპრილში დასრულდება.

9.5 ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში

2012 წლის ნოემბერში, ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით, ცენტრმა დაიწყო „პროფესიული განათლების სექტორში ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავდა პროფესიული გა-

[8] Stakeholder Survey Analysis on Quality Assurance Process in Georgia http://www.picqa.org/en

ნათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მხარდაჭერას, კონკრეტულად კი, პროფესიული სტანდარტებისა და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას, პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებას, სტუდენტთა გამოკითხვის მეთოდოლოგიის შემუშავებას, სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას და დასაქმების ხელშეწყობას.

პროექტი 2013 წლის 21 ნოემბერს შემაჯამებელი კონფერენციით დასრულდა.

პროექტის ფარგლებში:

- შემუშავდა პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია 2013-2020 წლებისთვის;
- ევროპული DACUM მეთოდოლოგიის შესაბამისად, გადაიხედა პროფესიული სტანდარტები თხუთმეტი მიმართულებით;
- შემუშავდა მოდულურ პროგრამაზე გადასვლის კონცეფცია და დამხმარე მასალები;
- შემუშავდა გზამკვლევები და სახელმძღვანელოები.

აღნიშნული მასალები და გამოცდილება გამოიყენება „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის“ განხორციელებისას.

10. ფინანსური ანგარიში

ცენტრის დაფინანსების წყაროებია: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. იგი ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. ცენტრს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2013 წლის ბიუჯეტი			
დასახელება	**მთლიანი ბიუჯეტი**	**2013 ფაქტიური ხარჯი**	
		სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები	**კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები**
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	**2,706,343.8**	**0.0**	**2,706,343.8**
შემოსულობები	**3,344,578.9**	**1,612,157.8**	**1,732,421.0**
შემოსავლები	**3,225,969.9**	**1,612,157.8**	**1,613,812.0**
საბიუჯეტო სახსრები	1,612,157.8	1,612,157.8	
საკუთარი შემოსავლები	1,613,812.0		1,613,812.0
გრანტები	0.0		
სხვა შემოსავლები	0.0		
არაფინანსური აქტივების კლება	**0.0**		
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**35,820.0**		**35,820.0**
ვალდებულებების ზრდა	**82,789.0**		**82,789.0**
გადასახდელები	**3,231,035.8**	**1,612,157.8**	**1,618,878.0**
ხარჯები	**3,129,472.2**	**1,610,878.6**	**1,518,593.5**
შრომის ანაზღაურება	1,092,967.3	873,301.3	219,666.0
საქონელი და მომსახურება	1,705,061.9	732,600.2	972,461.7
პროცენტი	0.0		
სუბსიდიები	0.0		
გრანტები	1,785.4		1,785.4
სოციალური უზრუნველყოფა	17,640.0		17,640.0
სხვა ხარჯები	312,017.6	4,977.2	307,040.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	**21,817.7**	**1,279.2**	**20,538.5**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**0.0**		
ვალდებულებების კლება	**79,746.0**		**79,746.0**
ნაშთის ცვლილება	**113,543.0**	**0.0**	**113,543.0**
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	**2,819,886.8**	**0.0**	**2,819,886.8**

ნაწილი II

2011-2013 წლების ანალიტიკური მიმოხილვა

1. ცვლილებები ცენტრის საქმიანობისა და მართვის სფეროში

2010 წლიდან დღემდე ცენტრის საქმიანობისა და მართვის სფეროში განხორციელდა ცვლილებები. საწყის ეტაპზე ცენტრს დაემატა ისეთი ფუნქციები, რომლებიც განათლების ხარისხის უზრუნველყოფას უშუალოდ არ უკავშირდებოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ეს ფუნქციები მას ისევ ჩამოშორდა. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე აღნიშნული ცვლილებები შეეხო შემდეგ საკითხებს:

1. 2011 წლის 18 თებერვლის №17/ნ ბრძანებით, ცენტრის ფუნქციებს დაემატა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევის ფუნქცია, 2013 წლის 12 აპრილის №46 ბრძანებით, ცენტრს ეს ფუნქცია ჩამოშორდა და შემდგომ მისი შესრულება საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს დაევალა.
2. 2011 წლის 16 სექტემბერის №156/ნ ბრძანებით, ცენტრს დაევალა მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღწევების ეროვნული და საერთაშორისო შეფასების განხორციელება, 2012 წლის 27 ივლისის №146/ნ ბრძანებით, ცენტრს აღნიშნული ფუნქცია ჩამოშორდა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს გადაეცა.
3. 2011 წლის 29 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით, ცენტრის ფუნქციებს დაემატა სკოლის სახელმძღვანელოების შესაბამისობის დადგენა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მათი შეფასება და სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭება. 2013 წლის 31 მაისის №59/ნ ბრძანებით, ცენტრს აღნიშნული ფუნქცია ჩამოშორდა და ახლა მას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კერძოდ, გრიფირების სამმართველო ახორციელებს.
4. ცენტრის ერთ-ერთი ფუნქცია იყო მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ენობრივი სისწორის დამოწმება, ხოლო 2013 წლის №59/ნ ბრძანებით ცენტრი ამოწმებს მხოლოდ განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ენობრივ სისწორეს.

ცენტრის ფუნქციების შემცირების ტენდენცია თანხვედრაშია საერთაშორისო გამოცდილებასა და რეკომენდაციებთანაც, რომელთა მიხედვით ცენტრის საქმიანობა ფოკუსირებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმების განვითარებაზე.

რაც შეეხება ცენტრის მმართველობის სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს, მიუხედავად იმისა, რომ დებულების თანახმად, ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, მნიშვნელოვანია მისი ავტონომიურობის ხარისხის გათვალისწინება. 2011 წლის 11 მარტის საქართველოს მთავრობის №115 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებაში (მუხლი 3[1], პუნქტი 7), რომლის მიხედვითაც გადაწყდა, რომ მინისტრის პირველი მოადგილე ან მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე იმავდროულად იქნებოდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი. აღნიშნული ცვლილება ძალაში იყო 2012 წლის 28 ნოემბრის საქართველოს მთავრობის №456 დადგენილების გამოქვეყნებამდე, რომლის შედეგადაც, აღნიშნული პუნქტი ამოღებულ იქნა სამინისტროს დებულებიდან. დღევანდელი მდგომარეობით ცენტრის დირექტორს, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი[9]. ეს ცვლილება დადებითად აისახება ცენტრის დამოუკიდებლობის ხარისხზე.

[9] „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, პუნქტი 2

2. განათლების ხარისხის განვითარების გარე მექანიზმები

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია

2010 წლის 1 სექტემბრიდან „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მოპოვების ახალი პროცედურა - ავტორიზაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია განათლების ხარისხის განვითარების ერთ-ერთი გარე მექანიზმია, რომელმაც მანამდე არსებული ინსტიტუციური აკრედიტაცია ჩაანაცვლა. **2010 წლამდე ინსტიტუციური აკრედიტაცია, მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის იყო სავალდებულო, ამჟამად ავტორიზაციის მოპოვება განათლების სამივე დონეს შეეხო და სავალდებულო გახდა ზოგადსაგანმანათლებლო(კერძო), პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.** ავტორიზაციის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის მისაღებად საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამები;
2. მატერიალური რესურსი;
3. ადამიანური რესურსი.

სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია ენიჭება 5 წლის ვადით, ამასთან, განათლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები წარადგენენ თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშებს.

2010 წლიდან ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობდა დიაგრამაზე (დიაგრამა 5) ნაჩვენები საფეხურების დაცვით.

დიაგრამა 5. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი



2.1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ცვლილება

2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 67 უმაღლესი და 91 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 28 უნივერსიტეტი, 27 სასწავლო უნივერსიტეტი და 12 კოლეჯია, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 44 საზოგადოებრივი და 47 პროფესიული კოლეჯია. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, დღეისათვის ქვეყანაში სულ 2332 სკოლაა, მათ შორის 2085 საჯარო და 247-კერძო. ამ ეტაპზე ავტორიზაცია ეხება მხოლოდ კერძო სკოლებს[10].

[10] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 59, პუნქტი 6.

დიაგრამა 6 ასახავს, თუ როგორ შეიცვალა საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა წლების მიხედვით ავტორიზაციის დაწყებიდან დღემდე.

დიაგრამა 6. საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ცვლილება წლების მიხედვით



	2010 წლის დასაწყისი	2011 წლის ბოლოს	2012 წლის ბოლოს	2013 წლის ბოლოს
უმაღლესი	71	57	61	67
პროფესიული	74	66	93	91
ზოგადსაგანმანათლებლო (კერძო)	522	207	240	247

ავტორიზაციის პროცესმა ყველაზე მეტად კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაზე იქონია გავლენა. მათი რიცხვი 2010-2011 წლებში 40%-ით შემცირდა, რადგან სკოლებმა ვერ შეძლეს ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება და მათ გაუუქმდათ ავტორიზაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 2011 წელს 11%-ით შემცირდა, 2012 წლის ბოლოსთვის კი მნიშვნელოვნად გაიზარდა (40%-ით). ამის მიზეზი ის იყო, რომ პროფესიული პროგრამები გამოეყო ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ცალკე პროფესიულ სასწავლებლად ჩამოყალიბდა ან უსდ-ები გადაკეთდნენ საზოგადოებრივ კოლეჯებად. ასევე შეიქმნა ახალი პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯები.

როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2010-2011 წლებში უსდ-ების რაოდენობა 71-დან 57-მდე შემცირდა. ამას სამი ძირითადი მიზეზი აქვს: უსდ-ებისთვის ავტორიზაციის გაუქმება, რეორგანიზაციის გზით საგანმანათლებლო დაწესებულებების შეერთება და საზოგადოებრივ ან პროფესიულ კოლეჯებად გარდაქმნა.

დღეისათვის 67 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 48-ს გავლილი აქვს ავტორიზაცია, 14 უსდ-ის სტატუსი მათი ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე[11] გათანაბრებულია ავტორიზებული დაწესებულებების სტატუსთან. ხოლო დანარჩენი 5 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებელი ითვლება ავტორიზებულად 2015 წლის 1 იანვრამდე, ამის შემდეგ კი ისინი დაექვემდებარებიან ავტორიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით[12] (იხ. დანართი 2). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან დარჩენილია 33 დაწესებულება, რომლებმაც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ავტორიზაცია უნდა გაიარონ 2014 წლის პირველ სექტემბრამდე[13]. ასევე, ავტორიზაცია ჯერ არ გაუვლია, მაგრამ ავტორიზებულად ითვლება ის 21 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც ლიცენზია 2010 წელს, ამავე წლის 21 ივლისამდე მიიღეს. მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის გასავლელად ცენტრს უნდა მომართონ 2015 წლის 1 ივლისამდე[14].

[11] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 89, პუნქტი 20.
[12] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 89[4].
[13] „პროფესიული განათლების შესახებ”საქართველოს კანონი, მუხლი 40, პუნქტი 2[2]
[14] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №84/ნ, 2011 წელი, 19 მაისი

2.1.2 ავტორიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება

ავტორიზაციის მინიჭების, ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოები.

დიაგრამა 7-ზე ნაჩვენებია, თუ რამდენ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიენიჭა, გაუუქმდა და უარი ეთქვა ავტორიზაციაზე 2011, 2012, 2013 წლების განმავლობაში. 2011-2013 წლებში ავტორიზაცია გაუუქმდა 4 უმაღლეს, 41 პროფესიულ და 166 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი 2004 წლიდან მიმდინარეობდა და მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხებოდა, ავტორიზაციის პროცესის დაწყების შედეგად, 2011-2013 წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით მიღებული ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილებები (4.7%) შედარებით ნაკლები იყო პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით მიღებულ გაუქმების გადაწყვეტილებებზე (25% და 21%).

დიაგრამა 7. ავტორიზაციის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (2011-2013)



	ზოგადსაგანმანათლებლო 2011	2012	2013	პროფესიული 2011	2012	2013	უმაღლესი 2011	2012	2013
ავტორიზაცია მიენიჭა	139	76	11	27	37	5	25	13	12
ავტორიზაციაზე უარი ეთქვა	36	13	1	11	10	2	5	3	7
ავტორიზაცია გაუუქმდა	32	134	0	40	0	1	3	0	1
% ავტორიზაცია მიენიჭა	67. 1	34.1	91.7	34.6	78.7	62.5	75.8	81.3	60.0
% ავტორიზაციაზე უარი ეთქვა	17.4	5.8	8.3	14.1	21.3	25.0	15.2	18.8	35.0
% ავტორიზაცია გაუუქმდა	15.5	60.1	0.0	51.3	0.0	12.5	9.1	0.0	5.0

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის მონაცემებს, 2011-2013 წლებში ავტორიზაციაზე უარი ეთქვა 15 უმაღლეს, 23 პროფესიულ და 50 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. დიაგრამა 8-დან ჩანს, რომ იმ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების უმრავლესობამ, რომელსაც უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, განაცხადის ხელახალი წარდგენის შედეგად მოიპოვა ავტორიზაცია (54% და 61%). ავტორიზაციის გაუქმების შემდეგ, ავტორიზაციის ხელახლა მოპოვების მაჩვენებელი სკოლების შემთხვევაში 1%, პროფესიული დაწესებულებების შემთხვევაში კი 5 %. უსდ-ების შემთხვევაში, ავტორიზაციის გაუქმების შემდეგ, განაცხადის ხელახალი წარდგენის შედეგად, ავტორიზაციის მიღების პროცენტული მაჩვენებელი (25%) მეტია უარის თქმის შემდეგ ავტორიზაციის მინიჭების მაჩვენებელზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მცირეა უსდ-ებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევები, გასათვალისწინებელია რაოდენობრივი მაჩვენებელი. 2011-2013 წლებში ავტორიზაცია გაუუქმდა 4 უსდ-ს და მხოლოდ ერთ მათგანს მიენიჭა ავტორიზაცია.



დიაგრამა 8. ავტორიზაციის მინიჭების მაჩვენებელი განაცხადის ხელახალი წარდგენის შემთხვევაში (2011-2013)

გადაწყვეტილება	ზოგადსაგანმანათლებლო	პროფესიული	უმაღლესი
ავტორიზაციაზე უარი ეთქვა	50	23	15
უარის შემდეგ მიენიჭა	27	14	2
ავტორიზაცია გაუუქმდა	166	41	4
გაუქმების შემდეგ მიენიჭა	2	2	1

იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, რომლებსაც გაუუქმდათ და რომლებსაც უარი ეთქვათ ავტორიზაციაზე, განაცხადის ხელახალი წარდგენის შედეგად ავტორიზაციის მინიჭების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დიდია. ეს აჩვენებს, რომ უმეტესწილად საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც უუქმდებათ ავტორიზაცია, არასიცოცხლისუნარიანები არიან და არ გააჩნიათ რესურსი იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის გამართულად წარსამართავად. ხოლო იმ დაწესებულებების უმრავლესობა, რომლებსაც უარი ეთქვათ ავტორიზაციაზე აგრძელებენ მუშაობას ხარვეზების აღმოსაფხვრელად და დადებითი შედეგის მისაღებად.

დიაგრამა 9-ზე ნაჩვენებია ავტორიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებიდან ავტორიზაციის მინიჭების პროცენტული განაწილება. კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის მინიჭების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა, 2013 წელს კი, იმ კერძო სკოლების 92%-მა, რომლებმაც განაცხადი შემოიტანეს, მოიპოვეს ავტორიზაცია. პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციის მინიჭებაზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2012 წელს აქვთ, 2013 წელს კი ეს მაჩვენებელი ორივე საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში იკლებს.



2.1.3 საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ხარვეზები

საბჭოების ოქმების ანალიზის საშუალებით გამოვლინდა ის ძირითადი ხარვეზები, რომელთა გამოც დაწესებულებებს უარი ეთქვათ ან გაუუქმდათ ავტორიზაცია. ქვემოთ ჩამოთვლილია ხშირად დაფიქსირებული ხარვეზები საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეებისა და ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით.

(კერძო)ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირია დარღვევები მატერიალური რესურსის სტანდარტში, ყველაზე ნაკლები დარღვევა კი ადამიანური რესურსის სტანდარტებთან დაკავშირებით დაფიქსირდა.

საგანმანათლებლო პროგრამები

- საგნებისა და საფეხურის მისაღწევი შედეგები, საგნების ჩამონათვალი არ შეესაბამება სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- სკოლას არ აქვს განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი შეფასების სისტემის კომპონენტები;
- საგნობრივ კათედრებს არ აქვთ სამუშაო გეგმა და დებულება;
- სილაბუსები არ არის სრულყოფილი;
- სკოლას არ აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია.

მატერიალური რესურსები

- სკოლებს არ აქვთ სასწავლო პროცესისთვის საჭირო ფართი, სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული გარემო, კომპიუტერების სათანადო რაოდენობა, ბიბლიოთეკაში სასწავლო გეგმის შესაბამისი ლიტერატურა;
- საგნებს არ ასწავლიან გრიფირებული სახელმძღვანელოებით;
- სრულყოფილად არ ივსება სასკოლო ჟურნალები;
- სკოლას არ აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ადამიანური რესურსები

- სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები

(მაგ.: ჟურნალისტიკის კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას, დაწყებითი განათლების კვალიფიკაციის მქონე - ხელოვნებას და ა.შ.).

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარღვევები თითქმის ყველა სტანდარტში ერთნაირი სიხშირით გვხვდება, კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამები

- დაწესებულებას დარღვეული აქვს სტუდენტთა ჩარიცხვის წესი (არ არსებობს სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებები და ხელშეკრულებები);
- პროგრამის ხანგრძლივობა არ არის დაზუსტებული ან არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო ცხრილები, სასწავლო განრიგი და უწყისის ფორმები არ არის დამტკიცებული სათანადო წესით;
- პროფესიულ პროგრამებში დარღვეულია პროგრამაში პრაქტიკული და თეორიული ნაწილის თანაფარდობა და პროგრამებში არ არის წარმოდგენილი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსები.

მატერიალური რესურსები

- დაწესებულებას არ აქვს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ფართი, სასწავლო კურსის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და სავალდებულო ლიტერატურა;
- დაწესებულებაში არ აღირიცხება გამოცემული აქტები და კორესპონდენციები.

ადამიანური რესურსები

- დაწესებულებაში არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- დაწესებულებას არ ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი და მასწავლებლების რაოდენობა არასაკმარისია პროგრამების განსახორციელებლად.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველაზე მეტად ხარვეზები საგანმანათ-ლებლო პროგრამების კომპონენტში დაფიქსირდა.

საგანმანათლებლო პროგრამები

- საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო ცხრილები, უწყისები არ არის დამტკიცებული სათანადო წესით;
- საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება კვალიფაკაციათა ჩარჩოს და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები არ შეესაბამება კვალიფიკაციათა აღწერით განსაზღვრულ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციებს;
- სილაბუსები არასრულყოფილია (არ შეიცავს შეფასების მეთოდებს);
- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა ატარებს ტრაფარეტულ ხასიათს, ანალოგიური ვარიანტები დაფიქსირებულია რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დაწესებულებას დარღვეული აქვს სტუდენტთა ჩარიცხვის წესი.

მატერიალური რესურსები

- უსდ-ს არ აქვს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ფართი, სასწავლო კურსის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა;
- მოძველებულია ინფრასტრუქტურა და ინტერიერი.

ადამიანური რესურსები

- დარღვეულია აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ პირთა კონკურსის გამჭვირვალობა და თანასწორუფლებიანობა;
- დაწესებულებას არ ჰყავს აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობა;
- დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი.

სრული სურათი რომ შევაჯამოთ, სამივე დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოვლენილი ხარვეზები, ხშირ შემთხვევაში, სამივე სტანდარტში ერთმანეთის მსგავსია. წარმოჩენილი ხარვეზები აქცენტს ფორმალურ მაჩვენებლებზე აკეთებს, რაც მოსალოდნელი იყო, რადგან თავად სტანდარტის განმარტება ორიენტირებულია ფორმალური მტკიცებულებების მეშვეობით შეფასებაზე და საჭიროებს შინაარსობრივი კომპონენტის გაძლიერებას.

2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წლიური თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი

ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველწლიურად, 1 მაისიდან 30 ივნისამდე, ცენტრს წარმოუდგენენ თვითშეფასების წლიურ ანგარიშებს, რომლებშიც ასახულია დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით. ერთი მხრივ, ბოლო სამი წლის განმავლობაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების შეფასებისა და, მეორე მხრივ, თვითშეფასების ანგარიშის ფორმისა და ხარისხის დახვეწის მიზნით, გაკეთდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი (2011, 2012, 2013).

2.2.1 უსდ-ების ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი[15]

საგანმანათლებლო პროგრამები. ანალიზმა აჩვენა, რომ საჯარო უნივერსიტეტები კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით საშუალოდ 5-ჯერ მეტ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე (2013). 2013 წელს რეგიონებში მდებარე საჯარო უნივერსიტეტებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალო რაოდენობა მეტია თბილისის საჯარო უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალო რაოდენობაზე (დიაგრამა 10). ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ სახელოვნებო საჯარო უნივერსიტეტები თბილისში მდებარეობს და ისინი მხოლოდ კონკრეტული სახელოვნებო მიმართულების პროგრამებს ახორციელებენ, შესაბამისად ამ პროგრამების რაოდენობა მცირეა და ეს გავლენას ახდენს თბილისის საჯარო უნივერსიტეტებში განხორციელებული პროგრამების საშუალო მაჩვენებელზე[16]. **მნიშვნელოვანია, რომ რეგიონების უნივერსიტეტებს შეუძლიათ ისეთივე მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზება, როგორიც თბილისში მდებარე უნივერსიტეტებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტები თბილისის გარდა საქართველოს მხოლოდ სამ ქალაქშია** (თელავი-1, ქუთაისი-2, ბათუმი -1. იხ. დანართი 3) .

სამი წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა ქვეყნის მასშტაბით უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამების საშუალო რაოდენობა, თუმცა, **2011-დან 2013 წლამდე შემცირდა სამაგისტრო (1.2-ჯერ) და სადოქტორო (2-ჯერ) პროგრამების საშუალო რაოდენობა (დიაგრამა 10)**. ეს ცვლილება განაპირობა

[15] უსდ-ების ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების ანალიზისთვის გამოყენებული კრიტერიუმებია:
- საგანმანათლებლო პროგრამები
  - საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა;
  - განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა.
- აკადემიური პერსონალი
  - საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური რესურსებით უზრუნველყოფა;
  - სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობის თანაფარდობა.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა;
- სსსმ სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ბიუჯეტში გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;,
- სტრატეგიულ განვითარების გეგმაში მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით ერთმანეთს შედარდა საჯარო და კერძო, სასწავლო უნივერსიტეტები და უნივერსიტეტები, რეგიონებისა და დედაქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და გაკეთდა მათ მიერ განხორციელებული ცვლილების ანალიზი წლების მიხედვით (2011, 2012, 2013).

[16] იმ შემთხვევაში, თუ, თბილისის საჯარო უნივერსიტეტებში განხორციელებული პროგრამების საშუალო რაოდენობის განსაზღვრისას, არ გავითვალისწინებთ სახელოვნებო უნივერსიტეტების მონაცემებს, რეგიონებისა და თბილისის საჯარო უნივერსიტეტებში განხორციელებული პროგრამების რაოდენობა თითქმის ერთნაირია (გარდა სამაგისტრო პროგრამებისა). თბილისი: BA -39, MA-40, Phd-19,ME - 2, რეგიონები BA-40, MA-31, Phd-19, ME-2.

2010 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი და სავალდებულო გახდა აკრედიტაციის მოპოვება სადოქტორო და რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად[17].

დიაგრამა 10. უნივერსიტეტებში განხორციელებული პროგრამების საშუალო რაოდენობა



	2013 BA	2013 MA	2013 Phd	2013 ME	2012 BA	2012 MA	2012 Phd	2012 ME	2011 BA	2011 MA	2011 Phd	2011 ME
საშუალო	19.3	16.1	8.2	0.9	18.0	23.0	16.0	1.3	18.0	19.6	17.9	1.1
საჯარო, თბილისი	28.5	29.5	13.1	1.1	25.0	43.9	31.4	0.9	31.8	38.8	42.2	1.3
საჯარო, რეგიონი	40.3	31.0	18.7	2.0	37.3	33.3	17.0	2.0	36.5	27.0	20.0	2.0
კერძო, თბილისი	11.2	6.9	3.9	0.6	9.0	6.8	4.7	1.6	9.5	10.4	7.1	0.8
კერძო, რეგიონი	3.0	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	3.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

საჯარო სასწავლო უნივერსიტეტები საშუალოდ 3-ჯერ მეტ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ, ვიდრე კერძო სასწავლო უნივერსიტეტებში. სამი წლის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტებში განხორციელებული პროგრამების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე თითქმის არ შეცვლილა (დიაგრამა 11). აღსანიშნავია, რომ თბილისში არც ერთი საჯარო სასწავლო უნივერსიტეტი არ არის.

დიაგრამა 11. სასწავლო უნივერსიტეტებში განხორციელებული პროგრამების საშუალო რაოდენობა



	2013 BA	2013 MA	2013 ME	2012 BA	2012 MA	2012 ME	2011 BA	2011 MA	2011 ME
საშუალო	7.2	3.9	0.5	5.7	3.7	0.4	5.8	3.4	0.4
საჯარო, თბილისი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საჯარო, რეგიონი	14.4	7.6	0.0	11.6	7.0	0.0	13.4	7.2	0.0
კერძო, თბილისი	5.1	3.1	0.8	3.6	2.1	0.7	3.8	2.1	0.6
კერძო, რეგიონი	5.8	2.3	0.3	3.5	3.8	0.3	5.0	2.7	0.3

[17] „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 17, პუნქტი 3

კოლეჯები საშუალოდ 3 საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ და 2011-2013 წლებში ეს რაოდენობა არ შეცვლილა (თბილისში არც ერთი საჯარო კოლეჯი არ არის).

ზოგადად, საჯარო უსდ-ები კერძო უსდ-ებთან შედარებით საშუალოდ 4-ჯერ მეტ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ. ეს მიუთითებს, რომ კერძო უსდ-ები უფრო მოთხოვნად სპეციალობებზე აკეთებენ ფოკუსირებას და არა პროგრამების მრავალფეროვნებაზე.

სასწავლო უნივერსიტეტებში საბაკალავრო პროგრამების საშუალო რაოდენობა დაახლოებით 2-ჯერ აღემატება სამაგისტრო პროგრამების საშუალო რაოდენობას, მაშინ როცა უნივერსიტეტებში ეს მაჩვენებელი თითქმის ერთნაირია (დიაგრამა 12). მკვეთრი განსხვავებაა უნივერსიტეტებსა და სასწავლო უნივერსიტეტებში განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების საშუალო რაოდენობებს შორის. უნივერსიტეტები საშუალოდ დაახლოებით 3-ჯერ მეტ საბაკალავრო და 4-ჯერ მეტ სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ სასწავლო უნივერსიტეტებთან შედარებით. ასევე, კოლეჯებთან შედარებით, დაახლოებით 3-ჯერ მეტია სასწავლო უნივერსიტეტებში განხორციელებული საბაკალავრო პროგრამების საშუალო რაოდენობა.

დიაგრამა 12. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებული პროგრამების საშუალო რაოდენობა წლების (2013, 2012, 2011) და საფეხურების მიხედვით



	2013 BA	2013 MA	2013 Phd	2013 ME	2012 BA	2012 MA	2012 Phd	2012 ME	2011 BA	2011 MA	2011 Phd	2011 ME
უნივერსიტეტი	19	16	8	1	18	23	16	1	18	20	18	1
სასწავლო უნივერსიტეტი	7	4	0	1	6	4	0	0	6	3	0	0
კოლეჯი	3	0	0	0	3	0	0	0	3	0	0	

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) და უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო კურსების შესახებ, რაც მათ ეხმარება სასურველი კურსის არჩევაში. ხშირ შემთხვევებში თვითშეფასების ანგარიშებში უსდ-ები არ აღწერენ, თუ რა განაპირობებს „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას“, თუმცა, ყველაზე ხშირად ასახელებენ ვებგვერდზე განთავსებულ პროგრამებს. ასევე, ზოგიერთ უნივერსიტეტსა და სასწავლო უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესის მართვის შიდა ქსელი, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს საშუალება აქვთ, მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია კურსების შესახებ და ელექტრონულად აირჩიონ საგნები.

აკადემიური პერსონალი. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად[18]. გარდა ამისა, უნივერსიტეტებს შეუძლიათ თავად დაადგინონ დამატებითი მოთხოვნები.

თვითშეფასების ანგარიშებმა აჩვენა, რომ უსდ-ები აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ წესს

[18] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35

აკადემიური პერსონალის არჩევისას. ასევე, კანონის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფისათვის საჯაროდ აცხადებენ აკადემიური პერსონალის შერჩევის კონკურსს, რაც ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას. ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშვებული აქვს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის კრიტერიუმები, მაგალითად, სამეცნიერო კვლევებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და სხვა, ასევე დადგენილი აქვს პერსონალის შერჩევის ეტაპები, როგორებიცაა: აპლიკაცია, გასაუბრება, საჩვენებელი ლექცია. თუმცა, იმ დაწესებულებების რაოდენობა, რომლებმაც თვითშეფასების ანგარიშში მსგავსი პროცესები აღწერეს, საკმაოდ მცირეა (3). თითქმის არ იყო ნახსენები აკადემიური პერსონალის განვითარებასთან, სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობაში ხელშეწყობასთან დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები. ამდენად, არ არსებობს ჯეროვანი სურათი იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფენ უსდ-ები საგანმანათლებლო პროგრამებს კომპეტენტური და კვალიფიციური აკადემიური პერსონალით.

ყველა უსდ აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობას[19]. დიაგრამა 13-ზე ნაჩვენებია ამ სტუდენტებისა და პროფესორების საშუალო თანაფარდობის ცვლილება წლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმის მიხედვით.



დიაგრამა 13. სტუდენტებისა და პროფესორების თანაფარდობა

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და სისტემური შეფასების მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები იყენებენ ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა შიდა მექანიზმს. **უსდ-ები განათლების ხარისხის შეფასებისას ყველაზე ხშირად სტუდენტთა გამოკითხვებს მიმართავენ, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, შეაფასონ პროფესორები და პროგრამები.** სტუდენტთა გამოკითხვა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის ასევე ზრდის სტუდენტების ჩართულობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. თვითშეფასების ანგარიშებში უსდ-ების უმრავლესობა არ ახსენებს, თუ როგორ რეაგირებენ ისინი გამოკითხვის შედეგებზე ან აღნიშნავენ, რომ ისინი „შეიმუშავებენ რეკომენდაციებს“. ძალიან მცირეა იმ უსდ-ების რაოდენობა, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშებში წერენ, რომ გამოკითხვის შედეგებით განსაზღვრავენ პროგრამების კორექტირების ან პროფესორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების საჭიროებას. ხარისხის გაუმჯობესება კი სწორედ ხარვეზის აღმოფხვრისა და სუსტი მხარის გასაუმჯობესებლად განხორციელებულ აქტივობებს გულისხმობს.

[19] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, 2010 წ. 1 ოქტომბერი, მუხლი 11

ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისთვის. პრობლემატურია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. ამ მხრივ, უსდ-ებს აქვთ დამონტაჟებული პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები და ლიფტები, თუმცა მხოლოდ კონკრეტულ სართულებზე და კორპუსებში. ზოგიერთ უსდ-ს აქვს საშტატო ერთეული სსსმ სტუდენტების დამხმარე პერსონალისთვის ან ამ ფუნქციას დაცვის თანამშრომლები ითავსებენ. სსსმ სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნით უსდ-ები ძირითადად მათი გადაადგილების პრობლემის გადაწყვეტაზე ზრუნავენ და ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი ხელშეწყობა.

უსდ-ებში განხორციელებული კვლევები. ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშებში **გამოიკვეთა უნივერსიტეტებსა და სასწავლო უნივერსიტეტებს შორის, კვლევითი საქმიანობის სახეებისა და კვლევისთვის გათვალისწინებული ხარჯების ოდენობის სხვაობა.** უნივერსიტეტებში კვლევისთვის გამოყოფილი ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი აქტივობების სახეებია: ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევის ჩასატარებლად საჭირო რესურსების შეძენა, სამეცნიერო-კვლევითი მივლინებების, კონფერენციების, ჟურნალებისა და პუბლიკაციების გამოცემა და შეძენა. სასწავლო უნივერსიტეტებში კვლევისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტით ძირითადად ფინანსდება შემდეგი კვლევითი საქმიანობები: სამეცნიერო კონფერენციები, სამეცნიერო მივლინებები სტუდენტებისა და პროფესორებისათვის და სამეცნიერო კრებულების გამოცემა.

გამომდინარე იქიდან, რომ თვითშეფასების ანგარიშის ფორმაში არ არის განსაზღვრული კონკრეტული ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება კვლევითი საქმიანობის ბიუჯეტი, უნივერსიტეტებს სხვადასხვა მიდგომით აქვთ აღნიშნული მონაცემი მითითებული (მაგ. თანხობრივი ოდენობა, მთლიანი ბიუჯეტის პროცენტი, არ აქვთ დაკონკრეტებული რაოდენობრივი მონაცემი), ასევე არ არის განსაზღვრული, თუ რა იგულისხმება კვლევით საქმიანობაში, ამიტომ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას სხვადასხვაგვარი აქტივობა აქვს ნაგულისხმევი ამ მონაცემის აღწერისას (მაგ.: წიგნების ბეჭდვა, წიგნების შეძენა, სპექტაკლის დადგმა, ტრენინგი, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლების დაბეჭდვა და ა.შ.). ყველაზე ხშირად გამოყენებული ინდიკატორი კი ბიუჯეტში გათვალისწინებული კვლევითი ხარჯების მთლიანი ოდენობაა (საერთაშორისო გრანტების ჩათვლით), ამიტომ რაოდენობრივი ანალიზისას სწორედ ეს მონაცემი იქნა გამოყენებული (ზემოაღნიშნული პრობლემების გამო, მონაცემებში არსებობს ცდომილება). უნივერსიტეტების საშუალო კვლევითი ბიუჯეტი სასწავლო უნივერსიტეტების საშუალო კვლევით ბიუჯეტს დაახლოებით 63-ჯერ აღემატება (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების საშუალო კვლევითი ბიუჯეტი (მლნ.)



ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა საჯარო და კერძო უნივერსიტეტების საშუალო კვლევით ბიუჯეტის ოდენობას შორის. **საჯარო უნივერსიტეტების საშუალო კვლევითი ბიუჯეტი დაახლოებით 10-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტების საშუალო კვლევით ბიუჯეტს (დიაგრამა 15).** ამის ერთ-ერთი მიზეზი კვლევითი ინსტიტუტების საჯარო უნივერსიტეტებთან ინტეგრირებაა, რის შედეგადაც უნივერსიტეტების კვლევით ბიუჯეტს დაემატა კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტი. ასევე აღსანიშნავია, რომ კერძო უნივერსიტეტები კვლევაზე მეტად სწავლებაზე აკეთებენ აქცენტს.

დიაგრამა 15. უნივერსიტეტების საშუალო კვლევით ბიუჯეტი (მლნ.)



საბიბლიოთეკო რესურსები. ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების მიხედვით, უსდ-ების ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. უსდ-ების უმრავლესობა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ ქსელში (ჩართული არ არის მხოლოდ ორი უნივერსიტეტი, ექვსი სასწავლო უნივერსიტეტი და არც ერთი კოლეჯი). საქართველოს უნივერსიტეტებში ყველაზე ხშრად გამოიყენება EBSCOHost, Cambridge Journals და Royal Society Publishing-ის საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. **მათი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** (10 და მეტი საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზა).

სტრატეგიული განვითარების გეგმა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შემუშავებული აქვთ მოკლევადიანი (1-წლიანი) და გრძელვადიანი (6-წლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმები. თუმცა, ხშირ შემთხვევაში თვითშეფასების ანგარიშებში არ არის ნახსენები რა პრიორიტეტები აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში. ასევე, არ ჩანს განსხვავება 6-წლიან და 1-წლიან გეგმებს შორის, რაც, სავარაუდოდ, იმის მაჩვენებელია, რომ უსდ-ები სტრატეგიულ გეგმას ფორმალურად და არა პრაქტიკული მიზნებისთვის შეიმუშავებენ, ამიტომ ეს დოკუმენტი ნაკლებად გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის სახელმძღვანელოდ. ასევე, შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად არის თანხვედრაში სტრატეგიული განვითარების გეგმა და განხორციელებული აქტივობები.

ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავინახოთ უსდ-ებში არსებული სურათი, თუმცა თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით, რთულია ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და პროგრესის დადგენა, რადგან ხშირ შემთხვევაში ავტორიზაციის ანგარიშებში კითხვებზე პასუხი ძალიან მოკლედ და ბუნდოვნად არის გაცემული და ეს პასუხები მეორდება 2011, 2012 და 2013 წლის ანგარიშებში.

2.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშების ანალიზისთვის ძირითადად თვისებრივი მახასიათებლები იქნა გამოყენებული[20]. გამომდინარე იქიდან, რომ უსდ-ებთან შედარებით მწირია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებით დაგროვილი გამოცდილება და მასალა, ანალიზიც შედარებით უფრო ზოგად სურათს ასახავს.

საგანმანათლებლო პროგრამები. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ პროგრამების კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ. ასევე ხშირ შემთხვევაში აღნიშნულია დასაქმების სფეროებიც. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას პროგრამის კატალოგი განთავსებული აქვს ვებგვერდზე.

მასწავლებლები. ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ხაზს უსვამენ რომ მათთვის პრიორიტეტულია მასწავლებლებს ჰქონდეთ პრაქტიკული გამოცდილება იმ სფეროში, რომელსაც ასწავლიან, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია პროფესიული პროგრამების სწავლებისას და ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშესაწყობად. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშებში არ არის აღნიშნული, თუ რა გზით ხდება მასწავლებლების მოზიდვა და შერჩევა (გარდა კანონმდებლობის მოთხოვნებისა[21]).

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უსდ-ების მსგავსად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სტუდენტთა გამოკითხვებს ატარებენ სასწავლო პროცესთან და მასწავლებლებთან დაკავშირებით, თუმცა, ხშირ შემთხვევაში არ არის აღწერილი, თუ რა რეაგირება მოჰყვება გამოკითხვის შედეგებს. ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, სტუდენტთა გამოკითხვების გარდა, დამსაქმებლების გამოკითხვებსაც ატარებს, რის მიხედვითაც ინფორმაციას იღებს დამსაქმებლისთვის საჭირო კადრების კვალიფიკაციის შესახებ და ცდილობს საგანმანათლებლო პროგრამის ამ საჭიროებების მიხედვით განხორციელებას.

მატერიალური რესურსები. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ ის ძირითადი რესურსები, რომლებიც საჭიროა პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად (სასწავლო ფართი, მერხები, სკამები, კომპიუტერები და ა.შ.), თუმცა, პროფესიული პროგრამების განხორციელებისას მნიშვნელოვანია დაწესებულების ბაზაზე პრაქტიკული გამოცდილების მიღებაც. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღწერენ, რომ სასწავლო პრაქტიკისთვის აქვთ მანქანა-დანადგარები ან მცირე საწარმოები.

ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისთვის. თითქმის ყველა პროფესიულ სასწავლებელს აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს სტუდენტებისთვის თავისუფალი გადაადგილებისთვის საჭირო გარემოს შექმნას. ასევე საშტატო ერთეულით განსაზღვრულია პირი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევს სტუდენტს. უსდ-ების მსგავსად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიც სსსმ სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნით ძირითადად მათი გადაადგილებისთვის საჭირო პირობების შექმნაზე ზრუნავენ და ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

---

[20] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების ანალიზისას გამოყენებული კრიტერიუმებია:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- მასწავლებლები;
- განათლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მატერიალური რესურსები;
- ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისთვის.

[21] „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

აკრედიტაცია, ავტორიზაციისგან განსხვავებით, ადგენს ხარისხის უფრო მაღალ ნიშნულს, რომლის მიხედვითაც ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის დონე. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, პროგრამების აკრედიტაციის საფუძველზე გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე).

აკრედიტაციის გავლა ნებაყოფლობითია, გარდა რეგულირებადი, ქართულ ენაში მომზადების, ლიბერალური განათლებისა და ქართული ენის (უცხოელებისთვის), აგრეთვე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა[22]. მიუხედავად ამისა, **3-წლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პროგრამების აკრედიტაციას მასობრივი ხასიათი აქვს (დიაგრამა 16)**, და ეს, დიდწილად, ფინანსური მოტივით აიხსნება. დიაგრამა 16-დან ჩანს, რომ პროცენტულად საჯარო უსდ-ებს, კერძოებთან შედარებით, მეტი აკრედიტებული პროგრამა აქვთ, თუმცა განსხვავება ძალიან მცირეა, საბაკალავრო და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე საშუალოდ 4.5%, ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე -1%.

დიაგრამა 16. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების % მაჩვენებელი საჯარო და კერძო უსდ-ებში



აკრედიტაცია ხორციელდება შემდეგ სტანდარტებზე დაყრდნობით:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი მისი შემოღების დღიდან ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით (დიაგრამა 17):

22 „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 17, პუნქტი 3

დიაგრამა 17. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი

2.3.1 აკრედიტაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება

პროგრამების აკრედიტაციის დაწყებიდან (2011 წ.) 2013 წლის ბოლომდე, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, აკრედიტაცია მიენიჭა 1424 პროგრამას, ხოლო 62 პროგრამის აკრედიტაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. გარდა ამისა, აკრედიტებულად ითვლება ყველა პროგრამა, რომლებიც ხორციელდება იმ უსდ-ებში, რომელთა ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადა ჯერ არ გასულა[23].

დიაგრამა 18. პროგრამების აკრედიტაციის მინიჭებისა და აკრედიტაციაზე უარის თქმის მონაცემები



	დადებითი	უარყოფითი	დადებითი	უარყოფითი	დადებითი	უარყოფითი	დადებითი	უარყოფითი
	უმაღლესი		პროფესიული		სხვა		სულ	
2011	392	16	23	0	29	1	444	17
2012	657	14	105	3	40	0	802	17
2013	165	20	17	5	6	3	188	28

*სხვა-საბაზო, საშუალო, დამატებითი პროგრამები, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ქართული ენის პროგრამა, მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული პროგრამა.

დიაგრამა 18-ზე ნაჩვენები მონაცემების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების პროცენტული მაჩვენებელი 2011 და 2012 წლებში თითქმის 100%-ია, ხოლო 2013 წელს იკლებს 80%-მდე.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს უნივერსიტეტებში სულ 1532 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, მათ შორის 1430 აკრედიტებულია (ან ითვლება აკრედიტებულად), ხოლო 102 არააკრედიტებული. ცხრილზე ნაჩვენებია აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა უმაღლესი განათლების საფეხურების და უსდ-ების სამართლებრივი ფორმის მიხედვით.

[23] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 88, პუნქტი 7[1]

ცხრილი 1. აკრედიტებული და არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა*								
საფეხური	ბაკალავრიატი		მაგისტრატურა		დოქტორანტურა		ერთსაფეხურიანი სამედიცინო	
პროგრამის სტატუსი / სამართლებრივი ფორმა	აკრედიტებული	არააკრედიტებული	აკრედიტებული	არააკრედიტებული	აკრედიტებული	არააკრედიტებული	აკრედიტებული	არააკრედიტებული
საჯარო	412	18	348	37	165	0	15	0
კერძო	267	28	141	17	60	0	22	1
სულ	679	46	489	54	225	0	37	1

დიაგრამა 19-ზე ნაჩვენებია საგანმანათლებლო პროგრამების საფეხურების მიხედვით აკრედიტაციის მინიჭების მონაცემები. ყველაზე მეტი გადაწყვეტილება 2012 წელს იქნა მიღებული (802). აკრედიტაციის დაწყების პირველ წელს, როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტური მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე მეტი აკრედიტაციის გადაწყვეტილება ბაკალავრიატის პროგრამებთან დაკავშირებით იქნა მიღებული, 2012 წელს კი - სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით. **მნიშვნელოვანია დოქტორანტურის პროგრამების აკრედიტაციის პროცენტულად გაზრდილი მაჩვენებელი 2012 და 2013 წლებში. ერთი მხრივ, ამის მიზეზია დოქტორანტურის პროგრამის განსახორციელებლად სავალდებულო აკრედიტაციის გავლა, მეორე მხრივ, 2013 წელს ამ მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა სახელმწიფო გრანტის გაცემის წესში ცვლილებამ[24] განაპირობა.** ამ ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო აფინანსებს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამის ბაკალავრიატის აკრედიტებულ პროგრამებს მხოლოდ იმ უსდ-ებში, რომლებსაც აქვთ ამ პროგრამის შესაბამისი მიმართულების დოქტორანტურის პროგრამა.

დიაგრამა 19. აკრედიტაციის მინიჭება საგანმანათლებლო პროგრამების საფეხურების მიხედვით



	2011	2012	2013
BA	292	216	61
MA	66	308	36
Phd	18	120	60
ME	16	13	8
პროფ.	23	105	17
სხვ.	29	40	6

* მონაცემებში არ შედის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უსდ-ების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები. აკრედიტებულ პროგრამებში იგულისხმება იმ უსდ-ების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებიც, რომლებიც ფუნქციონირებენ ინსტიტუციური აკრედიტაციის რეჟიმში.

[24] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №79/ნ, 2013 წ. 24 ივნისი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების საშუალებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამოყალიბდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. თუმცა, ავტორიზაციის შემთხვევაში, გამოიკვეთა, რომ სტანდარტები გარკვეულწილად ბუნდოვანია და ავტორიზაციის არსებული სტანდარტებისა და პროცედურის პირობებში საგანმანათლებლო დაწესებულებები მეტწილად ორიენტირებულნი არიან სტანდარტების დაკმაყოფილებაზე და არა განათლების ხარისხის განვითარებაზე. აკრედიტაციასთან დაკავშირებით, გასული სამი წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ პროცესს, მიუხედავად იმისა რომ ის ნებაყოფლობითია, მასობრივი ხასიათი აქვს. ამდენად, გადასახედია აკრედიტაციის კონცეფცია. გასული სამი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება გამოყენებული იქნება შემდგომში გადაწყვეტილებების მიღებისას.

3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აღწერს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის არსებულ კვალიფიკაციებს და ცხადყოფს მათ ურთიერთკავშირს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე მოიცავს ქვეყანაში არსებული მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს.

ჩარჩოს დანიშნულებაა, ასახოს საქართველოში არსებული კვალიფიკაციები, რომელთა საფუძველზეც გაიცემა დიპლომები და მათში მიეთითება კვალიფიკაციები. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (EQF) პრინციპზეა აგებული, ამდენად, მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებისთვის. აქედან გამომდინარე, ცენტრის მანდატია ჩარჩოში დაამატოს, ამოიღოს ან, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს კვალიფიკაცია. გასული სამი წლის განმავლობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოს დაემატა 52 აკადემიური და 21 პროფესიული კვალიფიკაცია. 2011 წელს საკვალიფიკაციო ჩარჩოში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ცხრილი 2. ცვლილებები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში (2012-2013)

ცვლილება / წლები	აკადემიური კვალიფიკაციები		პროფესიული კვალიფიკაციები	
	დამატება	შეცვლა	დამატება	შეცვლა
2012	31	7	17	0
2013	21	4	4	2

2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მოიცავს 11 მიმართულებას. ცხრილში ნაჩვენებია დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების რაოდენობა მიმართულებების მიხედვით.

ცხრილი 3. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული მიმართულებები

№	მიმართულება	დარგი/ სპეციალობა	ქვედარგი/ სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
1	აგრარული მეცნიერებანი	6	25	43
2	ბიზნესის ადმინისტრირება	5	57	36
3	განათლება	2	11	3
4	ინჟინერია	17	74	195
5	მეცნიერებები/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	8	71	13
6	სამართალი	5	27	1
7	სოციალური მეცნიერებები	8	38	8
8	ხელოვნება	7	43	63
9	ჯანდაცვა	7	26	13
10	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	6	54	0
11	მიმართულებათაშორისი დარგები/ სპეციალობები	18	71	16

ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მსხვილი მიმართულებაა ინჟინერია და პროფესიული სპეციალიზაციებიც ყველაზე მრავლად სწორედ ამ მიმართულებაშია წარმოდგენილი. ხოლო ყველაზე მცირერიცხოვანია განათლების მიმართულება. ასევე აღსანიშნავია, რომ სამართლის მიმართულებას მხოლოდ ერთი, ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებას არც ერთი პროფესიული სპეციალიზაცია არ აქვს.

4. სტუდენტთა მობილობა

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტთა მობილობის პროცესს, რომელიც არეგულირებს სტუდენტის გადასვლას ერთი უსდ-დან სხვა დაწესებულებაში. მობილობის პროცესი წელიწადში ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში ხორციელდება.

ცენტრი ამოწმებს დაწესებულებების მიერ მობილობისათვის გამოცხადებული ვაკანტური ადგილების ოდენობას, მათთვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში და ახორციელებს სტუდენტების რეგისტრაციის პროცესის ტექნიკურ უზრუნველყოფას.

დიაგრამა 20-დან ჩანს, რომ საშემოდგომო მობილობაში უფრო მეტი სტუდენტი იღებს მონაწილეობას ვიდრე საგაზაფხულო მობილობისას. 2013-2014 სასწავლო წელს საშემოდგომო მობილობისას დაახლოებით 3-ჯერ მეტი, 2012-2013 სასწავლო წელს კი 2-ჯერ მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. გარდა ამისა, 2011-2013 წლების მონაცემებით უსდ-ების მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა საშემოდგომო მობილობისას დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო საგაზაფხულო მობილობისას 3.6-ჯერ აღემატება მობილობის მსურველთა რაოდენობას.

დიაგრამა 20. უსდ-ების მიერ გამოცხადებული ვაკანტური ადგილები (გვა) და სტუდენტების მიერ მობილობის უფლების მოპოვება (მუმ)



	2013-2014 საშემოდგომო		2012-2013 საგაზაფხულო		2012-2013 საშემოდგომო		2011-2012 საგაზაფხულო	
	გვა	მ̄უმ̄	გვა	მ̄უმ̄	გვა	მ̄უმ̄	გვა	მ̄უმ̄
სულ	7321	3675	5147	1293	9023	3612	5903	1655
BA	5842	3464	4081	1190	7416	3350	4365	1477
MA	983	51	780	21	1087	47	944	36
Phd	109	17	65	10	49	18	122	27
ME	387	143	221	72	471	197	472	115

5. სტუდენტთა განაწილება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური პერსონალისა და პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელნი არიან საგანმანათლებლო დაწესებულებები.

2013 წლის დეკემბრის მონაცემებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 146604 სტუდენტი ირიცხება, მათ შორის, 116547 აქტიური სტუდენტია (79%), ხოლო დანარჩენს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.



დიაგრამა 21. აქტიური სტუდენტების პროცენტული განაწილება უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით (2013)

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუდენტების უმრავლესობა (83%) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობს. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების რაოდენობა კი თითქმის თანაბარია (დიაგრამა 21).

დიაგრამა 22 ასახავს აქტიური და შეჩერებული სტატუსის[25] მქონე სტუდენტების რაოდენობის პროცენტულ მიმართებას უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით. **ს**ა**ბაკალავრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამებისგან განსხვავებით, მკვეთრად მაღალია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი.** ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია დოქტორანტურის პროგრამაზე, რომელზეც შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა აღემატება აქტიური სტუდენტების რაოდენობას.

25 სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებასარაუმეტეს5წლისვადით.სტატუსისშეჩერებისსაფუძველიშეიძლებაგახდეს:აკადემიურიშვებულება,ავადმყოფობა, საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ, 2012 წლის 4 თებერვალი, დანართი №1)



დიაგრამა 22. უსდ-ებში სტუდენტების სტატუსის (აქტიური, შეჩერებული) პროცენტული მაჩვენებელი უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით (2013)

დიაგრამა 23-დან ჩანს, რომ უსდ-ების მდებარეობისა და სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების პროცენტულ გადანაწილებას შორის სხვაობა მცირეა, თუმცა აქტიური სტუდენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რეგიონებში მდებარე კერძო უსდ-ებს აქვთ (84%).



დიაგრამა 23. უსდ-ებში სტუდენტების სტატუსის პროცენტული მაჩვენებელი მდებარეობის და სამართლებრივი ფორმის მიხედვით (2013)

სტუდენტების (აქტიური, შეჩერებული) 73% საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს. აქტიური სტუდენტების 82% თბილისში მდებარე უსდ-ის სტუდენტია. ეს მაჩვენებელი თანხვედრაშია უსდ-ების რაოდენობის გეოგრაფიულ განაწილებასთან (იხ. დანართი 3).

სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ სტუდენტს უწყდება სტატუსი. გარდა ამისა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სხვა საფუძვლები განისაზღვრება დაწესებულების წესდებით (მაგ. დაბალი აკადემიური მოსწრება, უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევა, ა.შ.). დიაგრამა 24 -ზე ნაჩვენებია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მონაცემები.



2013 წელს სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების 41%-ს (2012-49%, 2011-3%) სტატუსი დაბალი აკადემიური მოსწრების გამო შეუწყდა.

6. განათლების აღიარება

ცენტრი ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, რაც მოიცავს როგორც უცხოეთში მოპოვებული კვალიფიკაციების, ისე უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას. გარდა ამისა, ცენტრი ადასტურებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების მიერ განათლების მიღების ფაქტს. ცენტრი ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებასაც.

2011-2013 წლების განმავლობაში აღიარების მიმართულებით დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები. კერძოდ:

განათლების აღიარების პროცედურების სრულყოფისა და გამარტივების მიზნით „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში" 2011 წელს შევიდა ცვლილებები[26]. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, შესაძლებელი გახდა განათლების აღიარების პირობითი დოკუმენტების მომზადება უცხოეთის კომპეტენტური ორგანოებისაგან დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, თუკი განათლების აღიარების განცხადება შეიცავს დაინტერესებული პირის დადასტურებას საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ, გამოიცემა პირობითი გადაწყვეტილება, რომელიც ბათილია გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა. აღნიშნულმა ცვლილებამ ცენტრს მისცა შესაძლებლობა, განმცხადებლებისთვის დროულად მოემზადებინა აღიარების დოკუმენტი, რათა მათ გაეგრძელებინათ სწავლა შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2011 წელს დამტკიცებულ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების

[26] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №64 ბრძანება

მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“[27] საფუძველზე, განმცხადებლები ცენტრს მომართავენ განათლების აღიარებისა და დოკუმენტების სამინისტროში გადაგზავნის მოთხოვნით და აღარ უწევთ დამატებით სამინისტროში მისვლა.

„საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში“ 2011 წელს განხორციელდა ცვლილება[28], რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა შუალედური გადაწყვეტილების მომზადება, რომელშიც მიეთითება სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველი პირებისათვის შესაძლებელი გახდა სწავლის გაგრძელების უფლების მიცემა დაწესებულებიდან დასკვნის მიღებამდე აღიარების საბოლოო დოკუმენტის მომზადებამდე, იმისთვის, რომ სტუდენტს სწავლის პროცესი არ შეუფერხდეს.

„საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში“ 2011 წლის 4 მაისს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სხვა ქვეყნის დაწესებულებას შორის გაფორმებულია შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრისგან მიიღოს წინასწარი თანხმობა, რაც შემდგომში, ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების ავტომატურად აღიარების საფუძველია.

2013 წელს აღიარების წესში განხორციელებული ცვლილების[29] შესაბამისად დაზუსტდა, რომ ცენტრი საქართველოს და უცხოურ უსდ-ებს შორის გაცვლითი პროგრამების/მემორანდუმების არსებობისას აღიარებაზე წინასწარ თანხმობას გასცემს 2 წლის ვადით. თანხმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ მემორანდუმში მოცემული განათლების აღიარების წესი შეესაბამება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მარეგულირებელ კანონმდებლობას. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, უცხოეთში განათლებამიღებულ პირთათვის განათლების აღიარების პროცედურები გამარტივდა: მათ აღარ მოუწევთ დამატებითი თანხის გადახდა აღიარებისათვის, უფრო მოქნილი და სწრაფი გახდება მათი კრედიტების აღიარების პროცედურაც.

2014 წლის აქცენტები

გამოიკვეთა ოთხი ძირითადი პრიორიტეტული საკითხი, რომელბზეც ცენტრი 2014 წლის განმავლობაში იმუშავებს, ესენია:

- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების დახვეწა და შედეგზე ორიენტირებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემის ფორმირება;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწა და თვითსერტიფიცირების პროცესის დაწყება მისი ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან თავსებადობის მიზნით;
- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ENQA-ში გაწევრიანება;
- ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებების გაუმჯობესება.

[27] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება
[28] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №221/ნ ბრძანება
[29] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის №139/ნ ბრძანება

დანართი 1. 2013 წლის განმავლობაში ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში დამატებული და შეცვლილი კვალიფიკაციები (ლურჯი ფერით აღნიშნულია შეცვლილი კვალიფიკაციები)

	მიმართულება	დარგი/ სპეციალობა	ქვედარგი/ სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
1	აგრარული მეცნიერებანი	• სატყეო მეცნიერება		
2	ბიზნესის ადმინისტრირება		• ტყის რესურსების მდგრადი მართვა	
3	განათლება		• სპეციალური განათლება	
4	ინჟინერია			• ვებსპეციალისტი • კომპიუტერული გრაფიკოს-ანიმატორი • კომპიუტერული ინჟინერი • კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი
5	მეცნიერებები/ საბუნების-მეტყველო მეცნიერებანი	**• ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი / გამოყენებთი მეცნიერებები**	**• ბიოტექნოლოგიები** **• გენეტიკა** • საკვები პროდუქტების მეცნიერება	
6	სამართალი		• საპოლიციო რეგულირების სამართალი	
7	სოციალური მეცნიერებები			
8	ხელოვნება		• მოძრავი გრაფიკა	
9	ჯანდაცვა		• სოციალური ფსიქიატრია ფსიქოტრავმატოლოგია	
10	ჰუმანიტარული მეცნიერებანი			
11	მიმართულებათა-შორისი დარგები/ სპეციალობები	**• არქეოლოგია** • პალეობიოლოგია/ პალეოანთროპოლოგია • სტატისტიკა • მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერება	• საეკლესიო არქიტექტურა • ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა • ხატწერა • დაზგური ხატწერის რესტავრაცია • მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია • საეკლესიო მუსიკა • საეკლესიო მუსიკათმცოდნეობა • ქრისტიანული ფსიქოლოგია • ქრისტიანული ფილოსოფია • საზღვაო კვლევები	**• გემბანის რიგითი მეზღვაური** **• სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური**

დანართი 2.
ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

	ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (მწვანე ფერით აღნიშნულია ახლად დაარსებული დაწესებულებები)	ავტორიზაციის მინიჭების თარიღი
	უნივერსიტეტები	
1	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11.07.11
2	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	21.07.11
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	21.07.11
4	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	04.08.11
5	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	04.08.11
6	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	04.08.11
7	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	04.09.12
8	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18.09.12
9	ა(ა)იპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	21.07.11
10	ა(ა)იპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	28.07.11
11	ა(ა)იპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	04.08.11
12	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	31.07.12
13	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	26.03.13
14	ა(ა) იპ - "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	10.10.13
15	ა(ა)იპ - ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი	10.10.13
16	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტი	21.06.11
17	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	11.07.11
18	შპს - ქუთაისის უნივერისტეტი	21.07.11
19	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	28.07.11
20	შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	28.07.11
21	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	25.08.11
22	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	18.09.12
	სასწავლო უნივერსიტეტები	
23	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი -ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	28.07.11
24	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	08.09.11
25	სსიპ- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	21.08.12
26	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	01.08.13
27	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	16.12.10
28	ა(ა)იპ - ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი	04.09.12
29	შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	21.01.11
30	შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი	28.07.11
31	შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	12.08.11
32	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი"რვალი"	12.08.11
33	შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი "ჰიპოკრატე"	25.08.11
34	შპს - სასწავლო უნივერსტიტეტი ევროპული აკადემია	03.11.11
35	შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი "გორგასალი"	24.10.12
36	შპს - უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია	12.07.12

37	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	12.07.12
38	შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	12.07.12
39	შპს - "თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"	21.08.12
40	შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	01.08.13
41	შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	15.02.13
42	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	10.10.13
	კოლეჯები	
43	ა(ა)იპ - საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "საზოგადოება ცოდნა"	14.08.12
44	შპს - ქართულ-ევროპული აკადემია	01.08.13
45	შპს - თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემია	01.08.13
46	შპს - უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია	01.08.13
47	შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი	10.10.13
48	შპს - საქართველოს ბიზნეს აკადემია SBA	12.12.13

	უსდ-ები, რომელთა სტატუსი გათანაბრებულია ავტორიზებული უსდ-ების სტატუსთან (მწვანე ფერით აღნიშნულია ახლად დაარსებული დაწესებულებები)	ვადა
	უნივერსიტეტები	
1	ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	01.01.15-მდე
2	შპს- აიბი-ევროკავკასიური უნივერსიტეტი	05.01.14-მდე
3	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	30.11.14-მდე
4	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	30.11.14-მდე
5	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	30.11.14-მდე
6	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	29.07.15-მდე
	სასწავლო უნივერსიტეტები	
7	სსიპ- სამცხე ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი	26.02.14-მდე
8	სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტი	08.12.14-მდე
9	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედი"	17.12.14-მდე
10	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი	01.01.15-მდე
11	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია	01.01.15-მდე
12	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	24.12.14-მდე
13	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	24.12.14-მდე
14	უსფ - ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი-სასწავლო უნივერსიტეტი	26.08.15-მდე
	კოლეჯები	
15	სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი	31.12.13-მდე
16	ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია	01.01.15-მდე
17	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ყვარლის წმინდა აბიბოს ნეკრესელის სახელობის სასულიერო სემინარია	01.01.15-მდე
18	შპს - რუსთავის უმაღლესი განათლების აკადემია	21.12.14-მდე
19	შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი "ანრი"	01.04.15-მდე

	ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	ავტორიზაციის მინიჭების თარიღი
	საზოგადოებრივი კოლეჯები	
1	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი “ახალი ტალღა”	01.12.11
2	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი “აისი”	01.12.11
3	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი “იბერია”	13.12.12
4	სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი	22.12.12
5	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	10.05.12
6	სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი”	13.09.13
7	ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯი	03.11.11
8	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი	13.12.11
9	შპს - „პროფიუნიტი”	25.01.11
10	შპს - „ორიენტირი”	06.06.11
11	შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი	28.06.11
12	შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯი	28.06.11
13	შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი	11.07.11
14	შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია	11.07.11
15	შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლა	11.07.11
16	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია”	25.07.11
17	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია	28.07.11
18	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა”	04.08.11
19	შპს ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯი	04.08.11
20	შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი	08.09.11
21	შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯი	28.09.11
22	შპს- მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი კოლეჯი მედიკ-ფორტე	13.10.11
23	შპს-აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯი	03.11.11
24	შპს - თბილისის ტურიზმის აკადემია	13.12.11
25	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კოლხა-11“	18.01.12
26	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „პროფესიონალი”	13.12.11
27	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი	01.03.12
28	შპს - სიო	01.03.12
29	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი	13.03.12
30	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი XXI საუკუნე	13.03.12
31	შპს - უმაღლესი სასწავლებელი საგანძური	10.05.12
32	შპს - ინტერბიზნესის აკადემია	10.05.12
33	შპს - კოლეჯი გამა	10.05.12
34	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ეკოლოგია და დიზაინი	07.06.12
35	შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი	07.06.12
36	შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯი	12.07.12
37	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი”	12.07.12
38	შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი გარანტი	31.07.12
39	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი აღმაშენებელი	18.09.12
40	შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი	18.09.12
41	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი	09.11.12

42	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი რეუ	26.07.13
43	შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯი	26.07.13
44	შპს - „ბარაკონი”	26.07.13
45	შპს - მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრი „იმედი”	31.10.13
	პროფესიული კოლეჯები	
46	ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი;	08.09.11
47	ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯი	18.09.12
48	შპს - ე.პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „ინტერველდი“	29.12.10
49	შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯი	18.08.11
50	შპს - „ორიენტირი +“	10.11.11
51	შპს - „ლაზარე +“	23.02.12
52	შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი	01.03.12
53	შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი	12.07.12
54	შპს - ლაზიკა	31.07.12
55	შპს - პროფესიული კოლეჯი ინტელექტი	07.08.12
56	შპს- მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემია	04.09.12
57	შპს - არსი	04.10.12
58	შპს - პანაცეა	23.10.12

დანართი 3. საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული გადანაწილება

უსდ / მდებარეობა	უნივერსიტეტი		სასწავლო უნივერსიტეტი		კოლეჯი		სულ
	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო/ კერძო
თბილისი	**8**	**16**	**0**	**16**	**0**	**6**	**46**
რეგიონი	**3**	**1**	**6**	**6**	**1**	**4**	**21**
ახალციხე	0	0	1	0	0	0	1
ბათუმი	1	0	2	1	0	1	5
გორი	0	0	2	1	0	0	3
ზუგდიდი	0	0	1	1	0	0	2
თელავი	1	0	0	0	0	0	1
რუსთავი	0	0	0	1	0	1	2
ქუთაისი	1	1	0	1	1	0	4
ყვარელი	0	0	0	0	0	1	1
ცაგერი	0	0	0	0	0	1	1
ხულო	0	0	0	1	0	0	1

პროფ. საგან. დაწესებულებები / მდებარეობა	საზოგადოებრივი კოლეჯი		პროფესიული კოლეჯი	
	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო
თბილისი	2	25	2	14
რეგიონი	4	13	7	24
ამბროლაური	0	0	1	0
ახალქალაქი	0	0	0	1
ახალციხე	0	1	1	1
ბათუმი	0	0	1	3
გორი	1	1	0	3
გურჯაანი	1	0	0	1
ზუგდიდი	0	1	0	4
თელავი	0	0	0	2
მარნეული	0	1	0	0
მესტია	0	0	1	0
ოზურგეთი	0	0	0	1
რუსთავი	0	1	1	2
საგარეჯო	0	0	0	1
სამტრედია	0	0	0	1
საჩხერე	0	0	0	1
ფოთი	0	0	1	1
ქობულეთი	1	0	0	0
ქუთაისი	1	6	0	1
წყალტუბო	0	1	0	0
წალენჯიხა	0	0	1	0
ჭიათურა	0	1	0	0
ხაშური	0	0	0	1

	კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები
თბილისი	120
რეგიონი	127

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. 1
ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220
ელ-ფოსტა: **info@eqe.ge**
www.eqe.ge